ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:**ბ48. 48261558**

თარიღი:**04/06/2026**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების იჯარის ფორმით, სარგებლობაში გადაცემისათვის განმეორებითი პირობებიანი ელექტრონული აუქციონის გამოცხადებისა და გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის დამტკიცების შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე'' პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, ,,დ''პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 28 მაისის Nგ-49.49261482 და 2026 წლის 28 მაისის Nგ-4949261487 განკარგულებების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ებ :

1. გამოცხადდეს განმეორებითი პირობებიანი ელექტრონული აუქციონი წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემისათვის დანართი №1-ის შესაბამისად.

/დანართი №1 თან ერთვის/

2. დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების იჯარის ფორმით სარგებლობაში გადაცემისათვის აუქციონის გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია დანართი №2-ის შესაბამისად.

/დანართი №2 თან ერთვის/

3. ინფორმაცია განთავსდეს ვებ-გვერდზე www.eauction.ge.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრაძის ქუჩა №11/.

5. ბრძანება ძალშია გამოქვეყნებისთანავე.

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი